პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 დეკემბერი, 1945 წ. № 252 (7467). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა კავშირის ძლიერების წყაროები — „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი და მე-2 გვერდი).
მოწინავე ტექნიკის დანერგვა მსუბუქ მრეწველობაში (მე-2 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-2 გვერდი).
მჭედელთა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად (მე-3 გვერდი).
ლენა სტურუა — დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეები საქართველოში (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირის ძლიერების წყაროები

მშვიდობიანი განვითარების პერიოდმა, რომელშიც ჩვენი საბჭოთა ქვეყანა შევიდა, ახალი დიდი ამოცანები დაუსახა სსრ კავშირის მშრომელებს. აღდგენა ყოველივე იმისა, რაც დაანგრიეს ჩვენს მიწა-წყალზე ფაშისტმა ბარბაროსებმა, აღორძინება ქალაქებისა და სოფლებისა, რკინიგზების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისა, რომლებსაც ჰიტლერელებმა უდიდესი მატერიალური ზიანი მიაყენეს, ხალხის დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. ამ ამოცანის გადაჭრასთან ერთად საბჭოთა ადამიანები იშრომებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, რათა რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადააჭარბონ ომამდელ დონეს.

ამ ამოცანების შესრულება ძალუძს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს. ჩვენი ხალხი აღსავსეა რწმენით თავისი ძალებისადმი. იგი დარწმუნებულია, რომ ომისშემდგომი დროის საკმაოდ დიდი სიძნელეები, რასაც ჩვენ ამჟამად ვხვდებით, დაძლეულ იქნება. ამ რწმენას ჩვენს ხალხს აძლევს საბჭოთა წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის, ჩვენი ხალხური სოციალისტური დემოკრატიის დაუშრეტელი ძალების უპირატესობათა შეგნება.

ომში გამარჯვებამ გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის ახალ აღმავლობას. ჩვენ დავიცავით ჩვენი მშობლიური, თავისუფალი საბჭოთა სახელმწიფო, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლის მსვლელობაში კიდევ უფრო განვამტკიცეთ სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობა, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმეთ ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

სამამულო ომის წლებში მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ საბჭოთა ქვეყანას ძალების ისეთი დაუშრეტელი წყაროები მოეპოვება, რომლებიც არა ჰქონია მეფის რუსეთს და არა აქვს მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანას. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალების ეს წყაროები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ომში მისი გამარჯვება, წინასწარ განსაზღვრავენ რთული ომისშემდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრასაც.

ისევე როგორც ომიანობის წლებში, ბოლშევიკური პარტია აღაფრთოვანებს ხალხის შრომას. მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა სახელმწიფოს ძალების მძლავრი წყაროა. ბოლშევიკების პარტია, რომელმაც შესძლო მოეწყო ისტორიაში უდიდესი მშენებლობა სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე, რომელიც აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს უმაღლესი გმირობისათვის ომიანობის განსაცდელის წლებში, ბრძნულად განსაზღვრავს ჩვენი მუშაობის პროგრამას მშვიდობიანი მშენებლობის ახალ პირობებში. ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა ის არის, რომ იგი ემყარება მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიად მოძღვრებას, ის არის, რომ იგი ემყარება მთელი ხალხის მხარდაჭერას. ურღვევია პარტიისა და ხალხის კავშირი. ეს კავშირი და ხალხის ნდობა ბოლშევიკების პარტიისადმი იმით მტკიცდება, რომ პარტია ყოველთვის ელაპარაკება ხალხს სიმართლეს, რომ პარტია უჩვენებს ხალხს ბრძოლის სწორ, ნათელ პერსპექტივებს, არ უმალავს მას სიძნელეებს, უჩვენებს ამ სიძნელეთა გადალახვის გზებს.

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ამ შესანიშნავ თვისებაში ჩვენი ხალხი დარწმუნდა ომიანობის დროს, როცა პარტიამ, დიდმა სტალინმა მოუწოდა ხალხს შეეგნო საფრთხის მთელი სიღრმე, გამბედაობა და გმირობა გამოეჩინა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მთელი ძალები დაეძაბა გამარჯვების მისაღწევად. ჩვენი ხალხი ამაში კვლავ რწმუნდება ამჟამად, როცა ბოლშევიკების პარტია აშკარად და პირდაპირ ლაპარაკობს აღდგენის რთული და ძნელი ამოცანის შესახებ, ჩვენი გამარჯვების განმტკიცების დიადი ამოცანის შესახებ, რომელიც მთელი ხალხის ძალღონეს მოითხოვს. ბოლშევიკური პარტია მოუწოდებს ხალხს იშრომოს დაუღალავად, ეწეოდეს შემოქმედებითს შრომას. ირგვლივ ყველაფერი ერთბაშად როდი აყვავდება. უნდა დავიმუშაოთ მტრის მიერ გათელილი მინდვრები, მოვიყვანოთ მოსავალი, აღვადგინოთ ქარხნები, კოლმეურნეობები, სახლები. წარმატება მოვა, ვინაიდან თავისუფალია მშობლიური მიწა-წყალი, განადგურებულია ვერაგი მტერი!

დიდი სტალინის ხელმძღვანელობაში ჩვენი ხალხი ხედავს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროს. სტალინი ლენინია დღეს — ამბობენ სსრ კავშირის მშრომელები. სტალინის სახელთან ჩვენს გულში დაკავშირებულია ყველაფერი, ყოველივე საუკეთესო, გმირული და მშვენიერი, რასაც ხალხმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე. სტალინურს უწოდებთ ჩვენ სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის ეპოქას, გმირულ ხუთწლედთა ეპოქას, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ჩვენი გამარჯვება ომში. ხალხმა სტალინური უწოდა თავის კონსტიტუციას, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას. სტალინის, ყველა დროისა და ხალხის უაღრესად გენიალური მხედართმთავრის, სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე წითელი არმიის ყველა გამარჯვება. ჩვენ ვიმუშავებთ ისე, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მომავალ წლებშიც, უდიდესი მშენებლობის წლებში, რომელიც განხორციელდება სტალინური გეგმებით.

ჩვენი ხალხი მტკიცედ და გაბედულად იწყებს ომისშემდგომი ამოცანების გადაჭრას იმიტომ, რომ საბჭოთა, სოციალისტურმა წყობილებამ დაუძლეველი ძალა მიანიჭა ჩვენს ქვეყანას. ისევე როგორც ომიანობის წლებში, როცა სოციალისტურმა სისტემამ უზრუნველჰყო სამხედრო რელსებზე ჩვენი მეურნეობის სწრაფი, გეგმიანი გადაყვანა, ამჟამადაც, მშვიდობიან პირობებში, სოციალიზმის უპირატესობა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ახალი ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს უმუშევრობა. ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები გეგმიანად, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნებასურვილით, მთლიანად გამოყენებულია და ვითარდება მთელი ხალხის სასარგებლოდ.

ომიანობის წლებში ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებით მკაფიოდ შეიგნო სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა. სსრ კავშირის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ იხსნეს ჩვენი სამშობლო. მხოლოდ სოციალისტურ მრეწველობას, სოციალისტურ სოფლის მეურნეობას შეეძლო აენაზღაურებინა ის ზარალი, რაც ჩვენმა ქვეყანამ ომის მსვლელობაში განიცადა, უზრუნველეყო შეწყობილი სამხედრო მეურნეობის შექმნა.

საბჭოთა წყობილება ჩვენი ქვეყნის ძლიერების დიდი წყაროა. ეს წყარო დაუშრეტელია იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფო—ყველაზე დემოკრატიული, ნამდვილი ხალხური სახელმწიფოა. მხოლოდ ასეთი ნამდვილად სრული დემოკრატიის დროს, როგორიც ჩვენი დემოკრატიაა, შეიძლება ასე გამოვლინდეს ხალხის მთელი ნიჭი, შეიძლება ასე ერთსულოვნად და ნაყოფიერად იმუშაონ მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ. ამჟამად მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, საბჭოთა წყობილების ეს უპირატესობა იმის სრულ რწმენას გვაძლევს, რომ მთელი ხალხის ერთსულოვანი ღონისძიებანი, ხალხისა, რომელსაც პარტია ხელმძღვანელობს, გამოიღებენ თავის ნაყოფს, უზრუნველჰყოფენ ჩვენი მეურნეობისა და კულტურის განუხრელ აღმავლობას.

საბჭოთა ადამიანების მხურვალე და ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი — აი რა უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის დარგში ჩვენს მიერ დაწყებულ დიდ სამუშაოთა წარმატებას. ომის დღეებში პატრიოტიზმმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ფრონტზე გმირობით და ზურგში შრომითი მამაცობით. მისი გამოხატულება მრავალფეროვანია. ამჟამად პატრიოტულად იქცევიან ფაბრიკა-ქარხნების მუშები და ინჟინრები, რომლებიც ისწრაფვიან ჩქარა, მეცნიერულად გარდაქმნან წარმოება მშვიდობიანი დროის საჭიროებისათვის. პატრიოტულად იქცევიან კოლმეურნეები, რომლებიც ისწრაფვიან არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმა. პატრიოტულად იბრძვის მთელი ჩვენი ინტელიგენცია ახალ გამოგონებათა დანერგვისათვის, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ახალი განვითარებისათვის, საბჭოთა კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საბჭოთა პატრიოტიზმის ღრმა, მეცნიერული განსაზღვრა.

„საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა, — სთქვა მან, — იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძვლად წარმოადგენენ არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები".

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების მძლავრი წყაროა. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა სამამულო ომის წლებში. ჩვენში არ არიან ჩაგრული, არასრულუფლებიანი ერები. დიდმა რუსმა ხალხმა, საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერთაგან ყველაზე გამოჩენილმა ერმა, საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა იმით, რომ იგი სსრ კავშირის სხვა ხალხებთან თავის ურთიერთობას აგებს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე, იმით, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა. სტალინური კონსტიტუცია რეალურ, ნამდვილ თანასწორობას ანიჭებს სსრ კავშირის ყველა ხალხს.

10 თებერვალს სსრ კავშირის მშრომელნი მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა საუკეთესო ადამიანები აირჩიონ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატაში. არჩევნები ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობის უდიდესი დემონსტრაცია იქნება.

მძლავრი, დაუშრეტელია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების წყაროები. და ჩვენს წინაშე არასოდეს არ გადაშლილა მთელი ჩვენი ძალების აყვავების ისეთი პერსპექტივები და შესაძლებლობა, როგორც ამჟამად. ჩვენ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ მივყევართ ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს ბრძენ მასწავლებელსა და მშობლიურ მამას ამხანაგ სტალინს. მის ბრძნულ ხელმძღვანელობაში ხალხი ხედავს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა უტყუარ საწინდარს, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი აყვავებისა და ზრდის საწინდარს.

„პრავდის" 21/XII მოწინავე

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" დაარსების 20 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის შემდეგი მუშაკები:

1. **ფირცხალავა** გერასიმე სამსონის-ძე — პასუხისმგებელი რედაქტორი
2. **მანჯგალაძე** გიორგი მიხეილის-ძე — პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე
3. **ჯალაღანია** ვაკა ტრიფონის-ძე — პროპაგანდის განყოფილების გამგე
4. **მელუხა** დავით რაფიელის-ძე — კომკავშირის ცხოვრების განყოფილების გამგე
5. **ზარდალიშვილი** გრიგოლ ივანეს-ძე — სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამგე
6. **იოსელიანი** ოთარ დავითის-ძე — ლიტერატურული მუშაკი
7. **ცინცაძე** ვარლამ ნიკოლოზის-ძე — სტილისტი-მთარგმნელი
8. **მესხიშვილი** ივლიტე იაკინთეს-ასული — ლიტერატურული მუშაკი
9. **აგიაშვილი** ნიკოლოზ დიმიტრის-ძე — რედაქციის ყოფილი მუშაკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1945 წ. 20 დეკემბერი. ქ. თბილისი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის № 119 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის № 119 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართი ასეთია:

ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა № 4, მშრომელთა დეპუტატების თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის შენობა.

ტელეფონი — № 3-71-89.

პროფკავშირულ-კომკავშირული სათხილამურო კროსი

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს 1946 წლის 1-დან 15 იანვრამდე ჩაატარონ პროფკავშირულ-კომკავშირული სათხილამურო კროსი. კროსის სახელმძღვანელოდ დამტკიცებულია საორგანიზაციო კომიტეტი. (საკდესი).

ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

მეფოლადეები ლითონს გეგმის გადამეტებით იძლევიან

მოლოტოვი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ჩუსოვაიას მოლოტოვის სახელობის ქარხნის სტახანოველები ჩაებნენ შეჯიბრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად და ზედიზედ ამთავრებენ ფოლადის გამოდნობის წლიურ დავალებებს.

ჩუსოვაიას ქარხნის პირველი ღუმელის მეფოლადეებმა ზარუბინმა, ზირიანოვმა, ფახრეტდინოვმა და ხოდუსმა, რომლებიც ჩქარი მეთოდებით მუშაობდნენ, წლიური გეგმის გადამეტებით 1.400 ტონა ფოლადი მოგვცეს.

მოლოტოვის სახელობის ქარხანაში ორდენოსანმა მეფოლადემ ტიურინმა წარმატებით დაამთავრა წლიური გეგმა. დავალების გადამეტებით მან 100 ტონაზე მეტი ლითონი გამოადნო.

იმიერკარპატის მთიან რაიონებში

ხუსტი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ხუსტი იმიერკარპატის უკრაინის მესამე ქალაქია სიდიდით. აქ არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ცენტრი.

ეს ქალაქი იმიერკარპატის უკრაინაში პირველ ქალაქთა შორის გაათავისუფლა წითელმა არმიამ. აქ პირველად გაისმა სიტყვები თავის ღვიძლ ძმებთან — საბჭოთა უკრაინის მშრომელებთან იმიერკარპატელი უკრაინელების შეერთების შესახებ. და ახლა, როდესაც განხორციელდა გულების დიდი ხნის ოცნება და კარპატები აღარ არის უკრაინელი ხალხის გამყოფი ბარიერი, ხუსტის, ტიაჩევის, რახოვის, ვოლოვის მოსახლეობა უმაგალითო აღფრთოვანებით ამ მხარის ისტორიაში პირველად ემზადება საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის.

ამჟამად ეს მხარე სწრაფად ვითარდება. დროგობიჩის ნავთის მრეწველობის მუშაკებმა ვულკანებს დასახმარებლად გაუგზავნეს გეოლოგიური ექსპედიცია. ველიკი ბიჩკოვში ამას წინათ აღდგენილ იქნა დიდი ქიმიური ქარხანა. გარდა ამისა, საბჭოთა ინჟინრებმა დააპროექტეს აქ ქალაქის მძლავრი კომბინატის მშენებლობა.

ყველა სოფელში ჩაღდება ბეჯითი მზადება მომავალი არჩევნებისათვის. მაღალ მთებშიც კი, ისეთ სოფლებში, როგორიც არიან ლიპეცკა პოლიანა, ვილშანი, ნიჟნი და ვერხნი ბისტრი, უკვე იყვნენ აგიტატორები. მათ მოსახლეობას უამბეს სტალინურ კონსტიტუციაზე, საბჭოთა საარჩევნო კანონზე — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ კანონზე.

ალაგეზის მოზამთრეები სწავლობენ საარჩევნო კანონს

ერევანი, 20 დეკემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი რადიოთი დაუკავშირდა მაღალმთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის მოზამთრეებს, რომელთა ბინაც ალაგეზის მწვერვალზეა, ზღვის დონიდან 3.200 მეტრზე.

— ალაგეზის მოზამთრეთა კოლექტივი, — აცნობა კორესპონდენტს მეტეოროლოგიური სადგურის უფროსმა ამხ. ანდრიასიანმა, —მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის. ამას წინათ ჩვენ თხილამურებით მოგვიტანეს ლიტერატურა. ჩვენ მოვაწყვეთ სისტემატური მოსმენა საარჩევნო რადიოგადაცემებისა მოსკოვიდან და ერევნიდან. კოლექტივმა უკვე დაამთავრა არჩევნების დებულების შესწავლა. ჩვენ გვსურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები აღვნიშნოთ მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებით. არჩევნების დღეს მთიდან დავეშვებით თხილამურებით, რათა მონაწილეობა მივიღოთ ხმის მიცემაში ჩვენს საარჩევნო უბანში.

ბათუმი. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა. პროპაგანდისტი ა. ბურჭულაძე (მეოთხე მარცხნიდან) მორიგ მეცადინეობას ატარებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ღირსეულად შევხვდეთ არჩევნების დღეს

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ემზადება ჩვენი რაიონიც. პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ამჟამად მთავარი ის არის, რომ ფართოდ განუმარტონ ამომრჩევლებს სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპები, სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამარჯვება მოგვეპოვებინა დიდ სამამულო ომში. ჩვენი ამოცანაა გავაცნოთ თვითეულ ამომრჩეველს საარჩევნო კანონი, საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობანი.

პარტიული ორგანიზაციები არჩევნებისათვის მზადების დღეებში ფართოდ იყენებენ წარსული არჩევნების დროს შეძენილ მდიდარ გამოცდილებას. განსაკუთრებული ძალით გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ასობით აგიტატორს ყოველდღიურად მიაქვს მასებში ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვები. შექმნილია 18 საგიტაციო პუნქტი, რომლის ხელმძღვანელებად შერჩეული არიან მომზადებული ამხანაგები. აგიტპუნქტებში შემოღებულია კონსულტანტთა სისტემატური მორიგეობა. აგიტატორთა შორის ბევრია ძველი გამოცდილი მომუშავენი. დამახასიათებელია ქალთა აქტივობის სწრაფი ზრდა. აგიტატორთა შორის 98 ქალია.

საარჩევნო კანონის შესასწავლად რაიონში ჩამოყალიბებულია წრეები. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით —მუშაობის დამთავრების შემდეგ. შერჩეულია და მოწყობილი წრეების სამეცადინო ბინები. წრეებს გამოცდილი პროპაგანდისტები ხელმძღვანელობენ.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს რაიონის ინტელიგენცია, განსაკუთრებით მასწავლებლობა.

სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის პარტკაბინეტი სისტემატურად აწყობს კონსულტაციებს, მოხსენებებს, ლექციებს. ამას წინათ გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყო აგიტპუნქტების გამგეთა სარაიონო თათბირი. მოსმენილ იქნა ინფორმაციები ადგილებიდან. თათბირის მონაწილეებმა მიიღეს სათანადო მითითებანი აგიტპუნქტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები სისტემატურად გამოდიან მოხსენებებით კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში. მოხსენებები და ლექციები ეწყობა თემებზე: „საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროები", „ლენინ-სტალინის პარტია—საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი" და სხვ. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ჩატარებულია 24 ლექცია და 23 მოხსენება, რომლებსაც 1.370 კაცი დაესწრო.

რაიონის მშრომელებმა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გაგზავნეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. ის აღფრთოვანება და ერთსულოვნება, რასაც მშრომელები იჩენენ არჩევნებისათვის მზადების დღეებში, თავდებია იმისა, რომ ჩვენ ღირსეულად შევხვდებით ისტორიულ თარიღს—10 თებერვალს.

ი. ძებისაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ახპინძის რაიკომის მდივანი.

მეშახტეთა სრულიად დონეცის შეჯიბრების ინიციატორებმა წლიური გეგმა შეასრულეს

ვოროშილოვგრადი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ტრესტ „ბოკოვოანტრაციტის" მეშახტეებმა, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად სრულიად დონეცის მაღაროელთა შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ, ახალი გამარჯვება მოიპოვეს: გუშინ ტრესტმა ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა. წლის დამდეგიდან ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო მოპოვება 50 პროცენტზე მეტით გადიდდა.

ტრესტ „ბოკოვოანტრაციტის" მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლოსათვის დავალების გადამეტებით 50 ეშელონი ანტრაციტი მოიპოვონ.

კანონპროექტი ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრმა შინუელმა 19 დეკემბერს თემთა პალატაში შეიტანა კანონპროექტი ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

სამდინარო ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ კოლუმბიის სამდინარო ტრანსპორტის ორი ათასამდე მუშამ 1 დეკემბერს დაიწყო გაფიცვა, რის შედეგადაც შეწყდა ნაოსნობა მდინარე მაგდალენაზე. მთავრობამ გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა და იუწყება, რომ განზრახვა აქვს მკაცრი ზომები მიიღოს, თუ გაფიცულები მუშაობას არ შეუდგებიან.

ბრძოლები იავაზე

ლონდონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ მდგომარეობა კუნძულ იავაზე კვლავ დაძაბულია. ისევ დაიწყო ბრძოლები სემარანგში, 30 მილზე ბატავიის სამხრეთით.

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს იავაზე მყოფი მოკავშირეთა შტაბის ცნობას იმის შესახებ, რომ ჰოლანდიის ჯარებმა, რომლებიც პირველად ჩაებნენ მოქმედებაში, დაიკავეს რამონი ბატავიის ახლოს. სემარანგის რაიონში სროლა სწარმოებდა. ინდონეზიელები თავიანთ ძალებს აღმოსავლეთით უყრიან თავს.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთში აღმოჩენილია გერმანელების მიერ ნაწამები საბჭოთა სამხედრო ტყვეების მასობრივი საფლავები

ვარშავა, 21 დეკემბერი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ზამოსტიედან იუწყება, რომ სოფელ კაროლოვეცს ახლოს აღმოჩენილია ჰიტლერელთა მიერ 1941-42 წლის ზამთარში ნაწამები საბჭოთა სამხედრო ტყვეების მრავალი საფლავი. კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ პერიოდში ზამოსტიეში იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეების ორი ბანაკი. ერთი მათგანი, რომელსაც ეკალიანი მავთული ჰქონდა შემოვლებული, ცის ქვეშ იყო. ყინვების დროს, რაც 40 გრადუსამდე აღწევდა, ტყვეები მასობრივად იხოცებოდნენ სიცივისა და შიმშილისაგან. ყოველ დილას გვამების გროვები გაჰქონდათ უახლოეს მინდვრებში და იქ მარხავდნენ.

გერმანიის კორპორაციის „აეგის" კავშირი ამერიკულ ფირმასთან

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკში გამომავალი გერმანული ანტიფაშისტური ბიულეტენის „ჯერმანი ტუდეის" მიერ გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, გერმანიის ელექტრობის ყველაზე დიდი კორპორაციის „ალგემაინე ელექტრიციტეტ გეზელშაფტის" („აეგ") დირექტორებს კავშირი ჰქონდათ ამერიკულ ფირმასთან „ჯენერალ ელექტრიკთან", რომელსაც ეკუთვნის „აეგის" აქციების დაახლოებით 25-30 პროცენტი და რომლის სამი წევრი აგრეთვე „აეგის" დირექტორები იყვნენ. „ჯენერალ ელექტრიკის" კომპანია ცდილობს თავიდან აიცილოს „აეგის" ლიკვიდაცია. „აეგმა" ახალი განყოფილებები გახსნა ჰამბურგში, ბრაუნშვაიგში, ჰანოვერში (გერმანიის ოკუპაციის ინგლისის ზონა). ამავე დროს „აეგის" დირექტორები განიხილავენ საკითხს კომპანიის გამგეობის არგენტინაში გადასვლის შესაძლებლობის შესახებ, თუ სხვა გამოსავალს ვერ იპოვნიან. „აეგის" ხელმძღვანელი ბიუხერი დირექტორია აგრეთვე ესპანური კორპორაციების „ფაბრიკა დე ლამპარასის", „გეტომკოსის", „კომპანია ჰენერალ ელექტრიკა ესპანიოლასი" და „ჩადესი".

ომის ფინელ დამნაშავეთა გასამართლება
გადაწყვეტილება ტანერის, რეინიკას და კივიმიაკის დაპატიმრების შესახებ

ჰელსინკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ომის ფინელ დამნაშავეთა საქმის გამრჩევმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულების ტანერის, რეინიკას და კივიმიაკის დაპატიმრების შესახებ, რომლებიც, როგორც ცნობილია, წინათ განთავისუფლებული იყვნენ წინასწარი პატიმრობისაგან. ბრალდებული კუკონენი უნდა გამოცხადდეს სასამართლოს მორიგ სხდომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დააპატიმრებენ.

სასამართლოს შემდგომი სხდომა დანიშნულია 1946 წლის 9 იანვრისათვის. სხდომის დამთავრებისთანავე ბრალდებულები რიუტი, რანგელი, ლინკომიესი, რამსაი, ტანერი, რეინიკა და კივიმიაკი გაგზავნილ იქნენ საგუბერნიო საპყრობილეში.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. ბაბილოძე აგრაფენა სიმონის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობის წევრი;

2. ქურწუა ვარდო იოსების-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

3. ხიზანიშვილი ნინო თაგორის-ასული—კასპის რაიონის სოფელ ქვეშიანის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. ბარამიძე თამარ იასონის-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთის ძოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

2. ბიტკაში ფირუზა პავლეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;

3. ბრისკინა ტატიანა ვასილის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;

...

7. ... ხარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

8. ხალუქვაძე სოფიო თედორეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის წევრი;

9. ჩავლეიშვილი ანეტა ამბაკოს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობის წევრი;

...

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

...

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

...

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

...

10. ლომჯარია თამარ იოსების-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

...

20. ხურციძე ქსენია კონსტანტინეს-ასული—მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1945 წ. 17 დეკემბერი, ქ. თბილისი.

მოწინავე ტექნიკის დანერგვა მსუბუქ მრეწველობაში

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტექნიკური საბჭოს პლენუმი

გაიხსნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტექნიკური საბჭოს პლენუმი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დირექტორები და მთავარი ინჟინრები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციათა მუშაკები.

...

ლი ნართის გამოშვების გაფართოება და სხვა.

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ი. ბ. ბასმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ომის დროს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ბევრი რამ გაკეთდა ტექნოლოგიურ პროცესთა გარდაქმნისა და წარმოების ...

გორკის სახელობის ლენინგრადის სტამბა „ბეჭდვითი სახლმა" ერთ თვეში 2.700.000 ეგზემპლარი საარჩევნო ლიტერატურა გამოუშვა. სურათზე: სტამბის საამკინძაო საამქრო. წინა პლანზე დამწყობი ოლღა ფროლოვა.

ფოტო ბ. ლოსინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კარტოფილის სათესლე ფონდების გადიდების დამატებითი რესურსები

საუბარი რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ნ. ვ. ჟილცოვთან

მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ომიანობის წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა. გადიდდა, კერძოდ, კარტოფილის ნათესები. ამან მოითხოვა სათესლე ფონდების გადიდება.

ამის შესაბამისად აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ 1941 წელს წინადადება შემოიტანა წვეროები წაეჭრა სასურსათო კარტოფილის ტუბერებისათვის. ამ წინადადებას ფართოდ გამოეხმაურა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა. ომიანობის დროს მარტო კოლმეურნეობებმა წვეროებით დასთესეს 150 ათასზე [...] ჰექტარი. გამოცდილებამ დაგვანახვა, ...

...

არტელში „პუტ კ სოციალიზმუ" ჩვეულებრივად დარგული კარტოფილის მოსავალმა ჰექტარზე 108 ცენტნერი მოგვცა, ხოლო წვეროებით დათესილმა—150 ცენტნერი, ეკატერინოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიაში"—შესაბამისად 110 და 210 ცენტნერი.

გამოცდილებამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ წვეროების წაჭრა სათესი მასალის სიდამპლისაგან გადარჩენის საუკეთესო საშუა-

ლებაა, როდესაც ეს დაავადება უკვე ტუბერის გულს აღწევს, წვერო ჯერ კიდევ საღია, დაავადებული მთელი ტუბერები რომ დავრგოთ, ისინი დაავადებულ მცენარეს მოგვცემენ. წაჭრილი წვეროები კი ჯანსაღ მცენარეს იძლევიან. ამრიგად, სათეს მასალად წვეროების გამოყენება არათუ საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ნათესი ფართობი, არამედ გავზარდოთ კარტოფილის მოსავლიანობაც.

1946 წელს კარტოფილის ნათესი ფართობის გადიდების გეგმის შესასრულებლად საჭიროა ახლავე დავაჩქაროთ კარტოფილის სათესლე ფონდების შექმნა, ზუსტად დავიცვათ ...

...

ამ საწარმოებს შეუძლიათ ტუბერის წვეროებისაგან დაამზადონ დასარგავი მასალის მნიშვნელოვანი მარაგი.

რსფსრ სახკომსაბჭომ საოლქო, სამხარეო აღმასკომებს და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაავალა დაუწესონ კოლმეურნეობებს, საზოგადოებრივი კვებისა და კვების მრეწველობის საწარმოებს დავალებანი კარტოფილის ტუბერების წვეროების დასამზადებლად. (საკდესი).

აღდგენილია დონბასის უდიდესი შახტი

ნოვოშახტინსკი, 18 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა დონბასის ერთ-ერთი უდიდესი შახტის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სახელობის შახტის აღდგენა. ეს შახტი ომამდე ყოველ დღელამეში იძლეოდა ნესვეტაის ფენის ათასობით ტონა მაღალხარისხოვან ანტრაციტს. გერმანელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს და წყლით ამოავსეს იგი.

შახტიდან ამოტუმბეს ხუთ მილიონ კუბურ მეტრამდე წყალი. ხელახლა ააგეს მთელი მიწისზედა ნაგებობანი — შენობა ამწევი მან-

ქანებისათვის, დასახარისხებელი, ბუნკერები, სავენტილატორო. დადგმულია ნოვოკრამატორსკის ქარხანაში დამზადებული მძლავრი ამწევი მანქანები, ლითონის ურნალი. აღდგენილია 35 კილომეტრი სამთო მაღარო, მოგვარებულია ქვანახშირის გაზიდვა ელექტრომავლით, მუშაობს ათობით კონვეიერი და ტრანსპორტიორი.

შახტში ქვანახშირის ამოღება დღითი დღე მატულობს. ნესვეტაელი მაღაროელები იბრძვიან, რათა უსწრაფესად მიაღწიონ ომამდელ დონეს.

ტუნგოს კულტურა აფხაზეთში

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს სახელმწიფოს მისცემენ ასეულობით ტონა ტუნგოს ნაყოფს. 5 დეკემბრისათვის მოკრეფილი და ჩაბარებული იყო 222 ტონა.

ტუნგო ძვირფასი კულტურაა. ...

...

ტუნგოს. ჩხოროთლის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობა სახელმწიფოს ჩააბარებს 200 ტონა ნაყოფს.

ამჟამად აფხაზეთში უმთავრესად გავრცელებულია „კორდატისა" და „ფორდიას" ჯიშის ტუნგო. ოჩამჩირის რაიონის მოქვის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობას ორივე ჯიშის ტუნგო აქვს. „ფორდია" მზის სხივისა და სინათლის მოყვარულია, ხოლო „კორდატი" სინესტის უფრო ამტანია. ამის მიხედ-

ვით არის აქ გაშენებული მცენარეები. დამახასიათებელია, რომ „კორდატი" ერთი თვით გვიან ჰყვავის, ვიდრე „ფორდია", მაგრამ ნაყოფს პირველი მაინც ადრე ამწიფებს. ეს იმიტომ, რომ „კორდატის" ვეგეტაციური პერიოდი დაახლოებით 80 დღით ნაკ-...

...

მეურნეობის უფროსი აგრონომი, სამამულო ომის მონაწილე ვ. კობალაძე,—ჩვენ სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 237 ტონა ტუნგო. მეურნეობის კოლექტივი ჩაება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებას ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მოჰკრიფოს სულ მცირე 400 ტონა ნაყოფი.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე მეთამბაქოენი

სოფელ მშვიდობიანის (ლაგოდეხის რაიონი) „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრები წელს გულდასმით უვლიდნენ თამბაქოს პლანტაციებს. მოსავალიც კარგი მიიღეს. თამბაქოს ალების გეგმა ვადა-...

...

ზონარმეტრი თამბაქო, ფაქტიურად 210.000 ზონარმეტრი მიიღო.

მესამე ბრიგადის მესამე რგოლმა (ხელმძღვანელი ღ. ჩახნაშვილი) ყველაზე მაღალი მოსავალი მოიყვანა. რგოლმა აილო 92.000 ზონარმეტრი თამბაქო, მაშინ როცა გეგმა 51.000-ს ...

...

ბ. კლატონიძე

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

19 დეკემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის 19 დეკემბრის დილის სხდომაზე სიტყვა აიღო ბრალდების ამერიკელმა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა სტორიმ. მას კვლავ მოჰყავს დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ეხებიან გერმანელ ჰიტლერელთა ორგანიზაციის მონაწილეობას მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ შეთქმულებაში. 1933 წელს გერმანიის მთავრობამ გამოსცა „კანონი პარტიისა და სახელმწიფოს ერთიანობის შესახებ და ამ ერთიანობის დაცვის შესახებ". ...

... მოჰყავს "ციტატები მოწმეთა მთელი რიგი ჩვენებებიდან, რომლებშიც მოყვანილია ჰიტლერელთა ტერორისტული საქმიანობის ფაქტები.

სპეციალურ კურსებზე, სკოლებსა და ბანაკებში ჰიტლერელნი გადიოდნენ საფუძვლიან სამხედრო მომზადებას. 1933 წელს სა-ს ორგანიზაცია 100 ათას წევრს ითვლიდა, ხოლო 1943 წელს — ყველა ერთნახევარი მილიონიდან ორ მილიონამდე წევრს, ...

...

19 დეკემბრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 19 დეკემბერი, (საკდესი). ...

...

20 დეკემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 20 დეკემბერი, (საკდესი). ...

... ბი მუშაობდნენ ბანაკებში, ამბობს ბრალმდებელი, ისე იყო ნავარაუდევი, რომ ისინი სიცოცხლის ბოლოს მიეყვანათ.

შემდეგ ბრალმდებელი ეხება საკითხს სხვადასხვა ექსპერიმენტთა შესახებ, რომლებსაც სს-ის ორგანოები საკონცენტრაციო ბანაკებში დაპატიმრებულების მიმართ აწარმოებდნენ. 1941 წლის 15 მაისს სს-ელთა ექიმმა რაშერმა წერილი გაუგზავნა ჰიმლერს, რომელშიაც წინადადება მისცა მას გამოეყენებინა პატიმრები მაღალი ფრენისას ცდების ჩასატარებლად. ამ წერილში რაშერი სწერს, ასეთი ექსპერიმენტების ჩასატარებლად მოხალისეთა პოვნა შეუძლებელიაო. რაშერი სწერს, ამ ექსპერიმენტების წარმოება მაიმუნებზე შეუძლებელია და რომ ამიტომ სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებს განზრახული აქვთ „მხოლოდ ადამიანებზე წარმოებული ცდებით" გადაჭრან ეს პრობლემები. 1941 წლის 22 მაისს რაშერმა თანხმობა მი-...

... ვებრუნებინა".

ბრალმდებელს მოჰყავს აგრეთვე ციტატი ჰიმლერის მიერ სს-ის გენერალ-ლეიტენანტ პოლისათვის 1942 წლის 16 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან. ამ წერილში ჰიმლერი აღნიშნავს, რომ მასზე შთაბეჭდილება მოახდინეს გაყინული ადამიანების მოსულიერების ცდებმა. ამ ცდებს იგი დაესწრო დახაუში. „მე ბრძანება გავეცი,—სწერს ჰიმლერი, — რომ ამ მიზნისათვის შესაფერი ქალები შერჩიათ".

ასეთ ავაზაკურ ცდებთან ერთად სს-ის ექიმები ექსპერიმენტებს აწარმოებდნენ აგრეთვე მოწამლული ტყვიით პატიმართა მკვლელობაში, აგრეთვე საწამლავის შეზაპუნებაში. ...

20 დეკემბრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 20 დეკემბერი, (საკდესი). ...

... ლობებს, და სთვლის, რომ სს გამოცხადებულ უნდა იქნას დანაშაულებრივ ორგანიზაციად.

მაიორი ფარი შეცვალა ბრალმდებელმა პოლკოვნიკმა სტორიმ, რომელიც შეუდგა დოკუმენტების წარდგენას გესტაპოს და უშიშროების სამსახურის დანაშაულობათა შესახებ.

... რომ გაზის ავტომობილებს — „დუშეგუბკებს", რომლებსაც ჰიტლერელები აღმოსავლეთ ტერიტორიებზე ადამიანების მოსასპობად იყენებდნენ, გერმანიაში აკეთებდნენ და, რომ მათ იყენებდნენ 1941 წლიდან საომარ მოქმედებათა დამთავრებამდე.

ტრიბუნალმა მუშაობა შესწყვიტა 2 იანვრამდე

ნიურნბერგი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის 20 დეკემბრის საღამოს სხდომის დასასრულს, ბრალმდებელ პოლკოვნიკ სტორის სიტყვის შემდეგ, ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა გამოაცხადა რომ ტრიბუნალის მორიგი სხდომა შეუდგება 1946 წლის 2 იანვარს.

ვინ იქნება თბილისში საუკეთესო მჭედელი?

მჭედელთა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად

20 დეკემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შესდგა თბილისის ლითონდამუშავების საწარმოების სტახანოველ მჭედელთა თათბირი. თათბირს მჭედლებთან ერთად ესწრებოდნენ ლითონდამუშავების საწარმოთა დირექტორები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები და სამჭედლო საამქროთა უფროსები.

მჭედელთა თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინმა. მან თათბირის მონაწილეთ გააცნო ქალაქ გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის სახელოვანი მჭედლების ამხ. კურატოვისა და მის შემცვლელ ამხ. მუხინის მოწოდება საუკეთესო მჭედლის სახელწოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

— ლითონდამუშავების საწარმოებში,—ამბობს შემდეგ ამხ. ლელინი,— მჭედლების მაღალნაყოფიერ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. თბილისის საწარმოებში მრავალი სახელოვანი მჭედელი მუშაობს. მათი მუშაობის გამოცდილება ყველა მჭედელს უნდა გავაცნოთ. ეს ხელს შეუწყობს ახალ აღმავლობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ საწარმოში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი მჭედელი, მივაღწიოთ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს თბილისის საუკეთესო მჭედლის სახელის მოსაპოვებლად.

სტახანოველ მჭედელთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის იდეამ მხურვალე მოწონება ჰპოვა თათბირის მონაწილეთა შორის.

სიტყვა ეძლევა სტახანოველ მჭედლებს

ვ. კორძაძე

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად. ამ მიმართვას, რომელიც უკვე გამოქვეყნდა, მეც ვაწერ ხელს. ამით მე ვკისრულობ უფრო გავაუმჯობესო მუშაობა და ახალი მიღწევებით შევხვდე სადღესასწაულო თარიღებს.

ამას წინათ „პრავდაში" დაბეჭდილი კორესპონდენციიდან გავეცანი გორკელი მჭედლის ამხ. კურატოვის მუშაობის მეთოდს. მის მაგალითისამებრ შევეცადე გარდამექმნა ჩემი მუშაობაც. მინდა გიამბოთ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამას პირველ დღეებშივე.

როდესაც გამოსაჭედად ვიღებ რომელიმე ნაწილს, ვფიქრობ გამოვნახო ისეთი ტექნოლოგიური ხერხი, რომ ამ ნაწილის გამოჭედვა დავაჩქარო და გავაადვილო, მაშასადამე ვცდილობ ტექნოლოგიაში შევიტანო ისეთი გაუმჯობესებანი, რომ ნაკლები ძალა დავახარჯო კუნთებს, მეტი ძალა მექანიზმებს. რედუქტორის დიდი კბილანას გამოჭედვა ძნელი საქმეა. ნორმის მიხედვით ერთმა მჭედელმა დღეში ერთნახევარი ცალი ასეთი კბილანა უნდა გამოსჭედოს. დროის დიდი ნაწილი მჭედლებს ამ შემთხვევაში საკბილანე ლითონის გახურებაზე ეხარჯებათ. მე შემოვიღე ლითონის ორ ღუმელში გახურების მეთოდი და ამის შედეგად ერთნახევარი ცალის ნაცვლად დღეში 12 ცალ დიდ კბილანას ვჭედავ. ამ წესით 19 დეკემბერს გეგმა შევასრულე 948 პროცენტით, ხოლო 20 დეკემბერს 1375 პროცენტით. ეგრეთწოდებული ზეთამრეკლის გამოსაჭედად დღემდე ასეთი წესია ცნობილი: პირველი გახურებით ამზადებენ ლითონს გამოსაჭედად და შემდეგ მეორე გახურებით იგივე ლითონი მზადდება დასატვიფრავად. მე კი ლითონის გახურების საწყისი ტემპერატურა გავადიდე იმდენად, რომ ლითონის გამოჭედვა და ტვიფრვა ერთსა და იმავე დროს ხდება. ტემპერატურის აწევა ხდება თანდათანობით, ისე რომ ლითონი ამით არ დაზიანდეს და მისი დამზადების პროცესი კი დაჩქარდეს. ახლა ასეთ ზეთამრეკლს ნორმით გათვალისწინებული 16 ცალის ნაცვლად 110-112 ცალს ვაკეთებ ყოველდღიურად.

საბჭოთა ხალხის მომავალი დიდი დღესასწაულისათვის ვკისრულობ ყოველდღიური გეგმები შევასრულო არანაკლებ 1.000 პროცენტისა, გამოვუშვა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სახელოვან მჭედელს კოტე ილურიძეს. სურვილი მაქვს, რომ ჩვენი შეჯიბრების მიმდინარეობაზე სისტემატურად გამოაქვეყნონ ცნობები გაზეთებმა. მე ვთხოვ „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" რედაქციებს თვალყური ადევნონ ჩვენს შეჯიბრებას.

კ. ილურიძე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელი

— 1930 წელს დავიწყე სამჭედლო საქმის შესწავლა, შევიყვარე ეს პროფესია. აგერ უკვე 15 წელიწადია მჭედელი ვარ. მონდომებამ, იმის შეგნებამ, რომ სამშობლოსათვის დიდად საჭირო საქმეს ვაკეთებ, გამიადვილა მთელი რიგი მიღწევების მოპოვება. მე ღირსი გავხდი მთავრობის უმაღლესი ჯილდოსი — ლენინის ორდენისა.

არც სამამულო ომამდე და არც ომის მძიმე წლებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გადაჭარბებით არ შემესრულებინოს საწარმოო დავალებები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი მიზეზით ჩვენს საამქროში, თუნდაც ერთის წუთით შეფერხებულიყოს ვაგონის, ან ორთქლმავლის რომელიმე დეტალის დამზადება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მთლიანად ჩვენი საამქრო კარგად მუშაობდეს. თვითონ მე ორ, სამ ნორმას და ზოგჯერ მეტსაც ვასრულებ, მაგრამ საქმეს ერთეულები როდი სწყვეტენ. სამჭედლო საამქროც ხშირად ჩამორჩება დავალებათა შესრულებაში. ჩვენ მჭედლებს მეტი დახმარება გვჭირდება. აქ მოვისმინე ამხ. ვ. კორძაძის გამოსვლა. ეტყობა, მას ეხმარებიან, მხარს უჭერენ, უქმნიან მუშაობის საუკეთესო პირობებს. ასევე უნდა შეგვიწყონ ხელი ჩვენც. თუ ეს დახმარება მექნება ქარხნის ხელმძღვანელობის მხრივ, დარწმუნებთ, რომ ამხ. კორძაძესთან პირად შეჯიბრებაში შერცხვენილი არ გამოვალ. სიამოვნებით ვიღებ ამხ. კორძაძის გამოწვევას და ჩემი მხრივ ვიწვევ შეჯიბრებაში კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის საუკეთესო მჭედელს ამხ. პანტელეიმონ ლუგანსკის. ვთხოვ „კომუნისტის" რედაქციას ჩვენს შეჯიბრებასაც ადევნოს თვალყური.

ჩვენს შეჯიბრებას უნდა მიბაძონ სხვა პროფესიების წარმომადგენლებმაც — ზეინკლებმა, ხარატებმა, ლითონმხმელებმა, მღარავებმა.

პ. ლუგანსკი

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მჭედელი

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მე და ჩემმა ბრიგადამ მთელი რიგი ახალი საწარმოო ვალდებულებანი ვიკისრეთ. დაპირებას ჩვენ პირნათლად ვანაღდებთ, აგერ უკვე რამდენიმე ხანია ყოველდღიურ დავალებებს ვასრულებთ არანაკლებ 500 პროცენტისა.

მეზობელი ქარხნის საუკეთესო მჭედლის ამხ. ილურიძის გამოწვევას ვიღებ და ვიძლევი სიტყვას, რომ ამიერიდან გამომუშავების ნორმებს საშუალოდ შევასრულებ 600 პროცენტით. ნება მომეცით ჩემი მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიო თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მჭედელი ამხ. ი. შაბუნინი.

ნ. ბორზუჩენკო

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი

— უკანასკნელ თვეებში გაცილებით კარგ მაჩვენებლებს ვაღწევ. სექტემბერში, მაგალითად, გეგმა შევასრულე 10? პროცენტით, ოქტომბერში 124 პროცენტით, ნოემბერში 300 პროცენტით, ხოლო ახლა არის დღეები, როდესაც 4 ნორმასაც ვასრულებ. ამას მივაღწიე მოწინავე მჭედლების გამოცდილებასთან გაცნობის შემდეგ.

ახლა ასეთი მეთოდით ვმუშაობ: დილაადრიან მოვდივარ ქარხანაში, წინასწარ ვამზადებ სამუშაო ადგილს, ვიმარაგებ ხელსაწყოებს, ვეცნობი ნახაზებს და ვსწავლობ ნედლ მასალას, რომელიც გადასამუშავებლად მეძლევა. ეს მიადვილებს მუშაობას. იშვიათია, რომ ასეთი მომზადების შემდეგ მუშაობის პროცესში გავცდე.

მეც ვებმები თბილისის საუკეთესო მჭედლების სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობ ყოველთვიური გეგმები მთელი 1946 წლის განმავლობაში შევასრულო არანაკლებ 400 პროცენტისა. ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია, ჩვენ მოწინავე მჭედლებმა ვალდებულებანი ვიკისროთ ახალი კადრების აღზრდის დარგში. პირადად ვკისრულობ 25 თებერვლისათვის ჩვენს ქარხანას მოვუმზადო 1 მაღალკვალიფიციური მჭედელი და დავეხმარო მას სტახანოვური მეთოდების ათვისებაში. ჩემი მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ კიროვის სახელობის ქარხნის სტახანოველ მჭედელს ამხ. ბელიკოვს.

ვ. ზამულენკო

ქარხანა — „დაზგის" მჭედელი

— მჭედელი ყოველთვის უნდა იუმჯობესებდეს კვალიფიკაციას. ამ მხრივ თბილისის საუკეთესო მჭედლის სახელწოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება ახალი სტიმული იქნება ყველა ჩვენგანისთვის. მეც, ისევე როგორც ყველა თქვენგანი, ჩაბმული ვარ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნაკისრ ვალდებულებებს ჯერჯერობით 300-350 პროცენტით ვასრულებ. ახლა, როცა თბილისის ლითონდამუშავების საწარმოთა მჭედლების შეჯიბრება ჩაღდება, პირობას ვიძლევი კიდევ უკეთესად ვიმუშაო და ყოველდღიური საწარმოო დავალებები შევასრულო არანაკლებ 500 პროცენტისა.

მ. ინდიაშვილი

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მჭედელი

— ორი თვის შემდეგ საქართველოს მშრომელები იზეიმებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი მუშათა კლასი ახალი შესანიშნავი მიღწევებით ხვდება. თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ამას წინათ მიმართა საქართველოს რკინიგზელებს, რომ ჩაებან ამ დიადი თარიღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენი კოლექტივი წარმატებით ასრულებს.

პირადად მე ყოველთვიურ გეგმებს 250-300 პროცენტით ვასრულებ. განუწყვეტლივ ვცდილობ უფრო ავიმაღლო კვალიფიკაცია, ახალი მიღწევები მოვიპოვო. ჩვენ უმთავრესად გვიხდება ორთქლმავალთა სარემონტო დეტალების გამოჭედვა. დღეს რომ ერთი სახელწოდების დეტალებია საჭირო, ხვალ სულ სხვა სახელწოდების დეტალებზე გვიხდება მუშაობა. ეს მოითხოვს მჭედლის მაღალ კვალიფიკაციას და დახელოვნებას. ამიტომ გამოცდილი მჭედლების მოვალეობაა მეტი ვიმუშაოთ ახალგაზრდა კადრების აღზრდაზე. ჯერჯერობით მე აღვზარდე 1 მჭედელი და სამი მეურნე. სიტყვას ვიძლევი კვლავ ნაყოფიერად ვიმუშაო ახალი კადრების აღზრდისათვის და ყოველთვიური დავალებები შევასრულო 400 პროცენტით.

თბილისის საუკეთესო მჭედლის სახელისათვის შეჯიბრებაში ვიწვევ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელს ამხ. ვ. გამხაშვილს.

დ. ჩიმჩიური

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მჭედელი



— გამოცდილებით ვიცი, რომ თუ ქარხნის ხელმძღვანელობა და საამქროს უფროსი მჭედელს ხელს არ შეუწყობენ სამუშაო ადგილის მოწყობაში, ნედლეულისა და სხვა მასალების, აგრეთვე ნახაზებისა და ხელსაწყოების მიწოდებაში, ისე მას გაუჭირდება კარგი მაჩვენებლები მოიპოვოს. ამ თათბირზე ჩვენი წარმოების მეთაურთა ყურადღება სწორედ ამ საკითხებისადმი უნდა გავამახვილოთ. თუ გვინდა მჭედლების შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი მოგვცეს, წარმოების მეთაურები უნდა დაგვეხმარონ და შეგვიქმნან მუშაობისათვის ყველა პირობა.

ვკისრულობ ამიერიდან ყოველთვიური გეგმები შევასრულო 500 პროცენტით, გავაუმჯობესო პროდუქციის ხარისხი, მივაღწიო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ჩემი მხრივ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ვიწვევ 26 კომისრის სახელობის ქარხნის მჭედელს ამხ. არეშოვს. ამასთან შემომაქვს წინადადება, რომ მოვაწყოთ ექსკურსიები ერთმანეთის მუშაობის გასაცნობად უშუალოდ ქარხნებში, სამუშაო ადგილებზე.

* * *

სტახანოველ მჭედელთა თათბირზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. **ი. შაბუნინმა** (თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა), **ა. გოგიჩაიშვილმა** (სტალინის სახელობის ქარხნის სამჭედლო საამქროს უფროსი), **შინკარიოვმა** (დიმიტროვის სახელობის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ქარხანა), **კ. გოგლიძემ** (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი), **რომელაშვილმა** (ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა), **გ. პრუსტამოვმა** (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა) და **ა. მელაძემ** (26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორი).

გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ლითონდამუშავების საწარმოთა მოწინავე მჭედლებს შორის.

სტახანოველ მჭედლებს უნდა მიბაძონ დანარჩენ პროფესიათა მოწინავე ადამიანებმა.

40 წლის წინათ

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეები საქართველოში

40 წლის წინათ, 1905 წლის დეკემბერში, რუსეთის რევოლუცია განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მშრომელებმა პროლეტარიატის მეთაურობით იარაღი აისხეს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ მეფის მთავრობას, კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

„იმ დიად დღეებში, — ამბობდა ლენინი,—პროლეტარიატმა მილიონობით მშრომელი დარაზმა მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად". (ლენინი, ტ. XIV, გვერდი 369).

ამბების განვითარებამ 1905 წლის მთელ მანძილზე მშრომელთა ყველა ფენა დაარწმუნა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მზადდებოდა გადამწყვეტი შეტევა თვითმპყრობელობაზე. განსაკუთრებით მომწიფდა შეიარაღებული აჯანყების საკითხი 1905 წლის დასასრულს. მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები ელოდნენ რევოლუციის წინამძღოლის — რუსეთის პროლეტარიატის სიგნალს გამოსვლის დაწყებისათვის.

7 (20) დეკემბერს მოსკოვში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც მალე მოჰყვა საბარიკადო ბრძოლა შეიარაღებული პროლეტარიატის, ჯარისკაცების და მშრომელთა სხვა ფენისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. აჯანყების ციტადელს წარმოადგენდა მოსკოვის „კრასნაია პრესნიას" რაიონი. მოსკოვს გამოეხმაურნენ პეტერბურგი, კიევი, ვილნო და სხვა ქალაქები. აჯანყება მოედო სოფლებსაც. „შეიარაღებული ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის ჩაგრულმა ხალხებმაც. თითქმის მთელ საქართველოს მოედო აჯანყება. დიდი აჯანყება მოხდა უკრაინაში, დონბასში: გორლოვკაში, ალექსანდროვსკში, ლუგანსკში (ვოროშილოვგრადი). შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა ბრძოლას ლატვიაში. ფინეთში მუშებმა შექმნეს თავისი წითელი გვარდია და აჯანყება მოაწყეს" (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვერდი 124). სულ რამდენიმე დღეში რუსეთი აჯანყების ალში გახვია. თვითმპყრობელობის ტახტი მძლავრად ირყეოდა. შევრაზმულმა მთავრობამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა აჯანყების ჩასაქრობად. მეფის ჯალათები განუკითხავად არბევდნენ მშრომელებს. ამოძრავდა სისხლიანი ტერორი.

შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ მუშათა კლასის ინტერესების გამცემნი — მენშევიკები. ამით ისინი დიდ სამსახურს უწევდნენ მეფის მთავრობას, ექსპლოატატორებს. ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც სათავეში ედგა პროლეტარიატის შეიარაღებულ გამოსვლას, მთელი ძალებით იბრძოდა აჯანყების გამარჯვებისათვის.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას უქმად არ ჩაუვლია. პროლეტარიატმა დროებითი მარცხის შემდეგ უკან დაიხია უდიდესი წესრიგით, რათა ძალები მოეკრიბა შემდგომი გადამწყვეტი გალაშქრებისათვის, გაეთვალისწინებინა ნაკლოვანებანი, რაც დეკემბრის დღეებში აჯანყებას ახლდა, აღარ გაემეორებინა ეს ნაკლოვანებანი და ღირსეულად დაეგვირგვინებინა განმათავისუფლებელი ბრძოლა.

* * *

1905 წელს რუსეთის პროლეტარიატს მხარდამხარ მიჰყვებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი. ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პროლეტარიატმა, რომელმაც აამოძრავა მშრომელთა ფართო მასები, გმირული ბრძოლის ნიმუშები გვიჩვენა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის აუცილებლობა კავკასიის პროლეტარიატს ამხანაგმა სტალინმა ჩაუნერგა. პრაქტიკულად აც მან გამოიყვანა პროლეტარიატი ბრძოლის ველზე.

ჯერ კიდევ 1905 წლის იანვრის „სისხლიანი კვირის" შემდეგად მასების გამოსვლებისას დიდი სტალინი კავკასიის ბოლშევიკების წინაშე ნათლად აყენებდა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის საკითხს. პროკლამაციაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!" (1905 წლის იანვარი) ამხანაგი სტალინი სწერდა „...ხალხის აბობოქრებული მასები ემზადებიან **რევოლუციისათვის** და არა მეფესთან შერიგებისათვის;... რუსეთის რევოლუცია გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! შეგიძლიათ თუ არა ამომავალი მზის შეჩერება?— აი რაშია კითხვა! ამ **რევოლუციის მთავარ ძალას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, მის მედროშეს კი—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია**".

1905 წლის 26 მარტს დაწერილ პროკლამაციაში „რა გამოირკვა?" ამხანაგი სტალინი კავკასიის მუშებს მიმართავს: **„...ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა აჯანყება მოაწყოს**,—აი რა გზა გვიჩვენა ამ ორი სამი თვის ისტორიამ.

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი პარტია აჯანყებას მოაწყობს და მაშასადამე პროლეტარიატი რევოლუციის ნამდვილ ხელმძღვანელად გამოვა, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება რიგიანად ვისარგებლოთ ძველი წესების დალეწვით, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ღონივრად მოვიმაგროთ ფეხი მომავალ თავისუფალ რუსეთში და ღირსეულად გავიკაფოთ გზა იმ „აღთქმული ქვეყნისაკენ", რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება!".

პარტიის ამოცანები შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში გენიალური სიზუსტით გააშუქა ამხანაგმა სტალინმა სტატიაში: „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა" („პროლეტარიატის ბრძოლა" № 10, 1905 წ. ივლისი). იქ ნათქვამია:

„სწორედ ტექნიკურად ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების გამოწყობა-მომზადება — აი ის ახალი მიზანი, რომელიც პროლეტარიატს წინ დაუყენა ცხოვრებამ, და თუ ჩვენს პარტიას სურს მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყოს, ის ამ მოვალეობის ასრულებას ვერ უარყოფს და არც უნდა უარჰყოს".

„...ჩვენი კომიტეტები, — სწერს ამხანაგი სტალინი იქვე,—ეხლავე დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ადგილობრივ ხალხის შეიარაღებას, საქმის მოსაგვარებლად სპეციალური ჯგუფების შედგენას, იარაღის საშოვნათ რაიონულ ჯგუფების მოწყობას, სხვადასხვა ასაფეთქებელ მასალების მოსამზადებლად სახელოსნოების გამართვას, სახელმწიფო და კერძო იარაღთა საწყობების და არსენალების ხელში ჩასაგდებად გეგმის გამომუშავებას. ჩვენ უნდა შევაიარაღოთ ხალხი არამც თუ „მწვავე მოთხოვნილებით თვით შეიარაღებისა", როგორც გვირჩევს ახალი „ისკრა", არამედ საქმით უნდა მივიღოთ ყოველგვარი ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, როგორც მესამე კრებამ ჩვენ დაგვავალა".

ამხანაგი სტალინი ამავე სტატიაში ასაბუთებს მებრძოლი ჯგუფების შექმნის აუცილებლობის საკითხს როგორც აჯანყების წარმატებით დამთავრებისათვის, ისე აჯანყებით მოპოვებული გამარჯვების შესანარჩუნებლად და კონტრრევოლუციის ასალაგმავად.

„სატექნიკო მეომარმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს აჯანყების გეგმა... გამოუნახოს მოწინააღმდეგეს ყველაზე უფრო სუსტი ადგილი, აღნიშნოს ის ალაგები, საიდანაც უნდა დაეცეს მას, რაიონში განაწილოს ყველა ძალები, ქალაქის ტოპოგრაფია კარგად შეისწავლოს — ყოველივე ეს წინდაწინ უნდა იქნეს ასრულებული, რომ არასოდეს არა რომელიმე გარემოებებში მოუმზადებელი არ შევიქმნეთ... მკაცრი კონსპირაცია მოქმედების გეგმის შემუშავებაში, მაგრამ რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება პროლეტარიატში სამხედრო-ტექნიკური ცოდნისა... ამ საქმისათვის ჩვენ ვისარგებლებთ იმ სამხედრო პირებით, რომელნიც ორგანიზაციაში არიან; ამავე მიზნისათვის ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ბევრი სხვა ჩვენი ამხანაგებით, რომელნიც თავის ბუნებრივი ნიჭით და მიდრეკილებით ძლიერ სასარგებლონი იქნებიან ამ საქმეში".

ამხანაგ სტალინის ეს გენიალური მითითებები სახელმძღვანელო პროგრამას წარმოადგენდა კავკასიელი ბოლშევიკებისათვის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მოწყობის საქმეში.

კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მეთაურობით რევოლუციის დასაწყისიდანვე ამზადებდნენ მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებით 1905 წლიდან ფართოდ გაიშალა მუშაობა ჯარისკაცთა შორის. თბილისში, ბათუმში, ბაქოში, ქუთაისში შეიქმნა საგარნიზონო კომიტეტები. ჯარისკაცები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან. კავშირის კომიტეტს სპეციალურად ჰყავდა გამოყოფილი მუშაკები ჯარისკაცთა შორის სამუშაოდ. სისტემატურად ტარდებოდა ჯარისკაცთა მიტინგები 1905 წლის დასაწყისიდან. სტალინური პროკლამაციები „ჯარისკაცებისადმი", „სალდათოებისადმი" ათასობით ვრცელდებოდა მთელს კავკასიაში.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა წითელი რაზმები როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ბელადი უშუალოდ ამოწმებდა რაზმების მუშაობას, თვითონ არჩევდა მათ ხელმძღვანელებს, გამოდიოდა რაზმელებთან კრებებზე, თათბირებზე, დიდად უფრთხილდებოდა რაზმის ავტორიტეტს. წითელ რაზმებში ყოველმხრივ სამაგალითოდ იყო დაყენებული მუშაობა. ისინი ფართო მხარდაჭერით სარგებლობდნენ მოსახლეობაში, როგორც ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველნი. რაზმელები იცავდნენ მოსახლეობას როგორც მეფის მთავრობის ძალმომრეობისაგან, ისე მენშევიკებისა და სხვა ბნელი ძალების შეიარაღებული ხროვისაგან, რომლებმაც თავი წამოჰყვეს რევოლუციის დროს.

ამხანაგ სტალინის დავალების თანახმად ბოლშევიკური რაზმები საბრძოლო იარაღს იძენდნენ. ავჭალაში და სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი) მოწყობილი იყო ხელყუმბარების სახელოსნოები, სადაც ამზადებდნენ მაკედონიის სისტემის და ადგილობრივი, ე. წ. „ავჭალის სისტემის" ყუმბარებს. წითელი რაზმების შეიარაღებაში დიდი როლი შეასრულა მგზნებარე რევოლუციონერმა სერგო ორჯონიკიძემ.

აღსანიშნავია, რომ 1905 წლის ნოემბერში, მთავრობის მიერ სომეხ-თათართა პროვოკაციული ხოცვა-ჟლეტის მოწყობის გამო, მენშევიკებმა მეფის ნაცვლისაგან მიიღეს 500 თოფი. ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ამხილეს მენშევიკები როგორც გამცემლები. ხალხმრავალ მიტინგებზე ამხანაგი სტალინი მასებს მიმართავდა, რომ იარაღი, რომელიც მეფის ნაცვალმა დაურიგა მენშევიკებს, ხალხმა უნდა გამოიყენოს ძმათა სისხლისღვრის მთავარი ინიციატორის — მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მართლაც, ბოლშევიკებმა ამ იარაღის დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდეს და გამოიყენეს შეიარაღებული აჯანყებისათვის.

აჯანყების წინა პერიოდში, ოქტომბერ-ნოემბერში, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიის ბოლშევიკებმა მიმართეს მასებს გაეღოთ თავიანთი წვლილი შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამხანაგი სტალინი მიმართვაში სწერდა:

„მოქალაქენო!

რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო! ჩვენ უკვე განვიცადეთ ამ რევოლუციის პირველი აქტი მისი საშინელი სისხლისღვრით. მომავალში უფრო მეტი ბრძოლა და მეტი მსხვერპლი მოგველის. პირველი მიზანი, რომელიც დღეს თვალწინ გვიდგას — ეს ხალხის შეიარაღებაა. თვითმპყრობელობის დამარცხებისა და რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა შეიარაღება, შეიარაღება და შეიარაღება!

მოქალაქენო! საჭიროა ყველა ღონისძიება ვიხმაროთ, რომ იარაღი შევიძინოთ, საჭიროა ხულიგნების წელში გატეხა, მეფის ბაში-ბუზუკების ალაგმვა, საჭიროა გადამჭრელი ომი თვითმპყრობელობასთან, ომი სამოქალაქო და ომი პოლიტიკური! ყველა ეს კი შეუძლებელია შეუიარაღებლად".

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ომის ფინელ დამნაშავეთა გასამართლება

ჰელსინკი, 19 დეკემბერი. (საკდეს). ომის ფინელ დამნაშავეთა საქმის გამრჩევი სასამართლოს სხდომაზე 19 დეკემბერს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გენერალ-ლეიტენანტ თალმარ სილასვუოს ჩვენებამ, რომელიც წარმოადგენს ბრალდების მოწმეს.

„რამდენადაც მახსოვს, — ამბობს გენერალი სილასვუო, — სულიწმიდის თოფენის მეორე დღეს (1941 წლის 2 ივნისს) მივიღე ბრძანება გამოვცხადებულიყავი უმაღლეს ბანაკში ჰელსინკში. იქ აგრეთვე მიწვეული იყო პოლკოვნიკი ვიიკლა. აქ შეგვატყობინეს ზოგიერთი საორიენტაციო ცნობა შესაძლო ომის შესახებ, რომელშიც ფინეთს შეეძლო მონაწილეობის მიღება გერმანიის მხარეზე. მაშასადამე, მხედველობაში ჰქონდათ, რომ შესაძლო ომის შემთხვევაში წარმოიშობოდა სამხედრო თანამშრომლობა ფინელებსა და გერმანელებს შორის. მარშალი თათბირზე არ ჩანდა. ყველაფრით ემჩნეოდა, რომ საქმე შეეხებოდა უკვე დაგეგმილ საქმიანობას.

თვით გეგმის შესახებ მაცნობეს, რომ ჩემი ჯარები — ორი დივიზია გაყოფილ უნდა იქნას. ერთი დივიზია პოლკოვნიკ ვიიკლას მეთაურობით პირდაპირ უნდა დაუმორჩილდეს გერმანელებს. მე პირადად მივიღე სუომისალმი—კუუსამოს რაიონი. თვითონ მეც აგრეთვე დავემორჩილე გერმანიის მთავარსარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ფალკენჰორსტს. ამ საინფორმაციო ცნობის მიზანი ის იყო, რომ სარდლობას წარემართნა მთელი თავისი ფიქრი შესაძლო ომზე.

რამდენიმე დღის შემდეგ უმაღლეს ბანაკში მოვიდნენ გერმანელი ოფიცრები. მალე მე გავემგზავრე ჩემი სამსახურის ადგილზე — ოულუში, რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ბრძანება განსაკუთრებული მანევრების შესახებ. აგრეთვე უმაღლესი ბანაკის მიერ გამოცემული ბრძანება დაქვემდებარებისა და ურთიერთმოქმედების შესახებ და ამავე დროს ფინეთში გერმანიის მთავარსარდლის ბრძანება, რომელიც შეიცავდა სამხედრო ცნობებს, მასალებს ჯარების დაჯგუფებისა და განლაგების შესახებ და ოპერაციების მიზნებზე. ჯარები, რომლებიც მიდიოდნენ სალას მიმართულებით, მათ შორის პოლკოვნიკ ვიიკლას დივიზია, შეადგენდნენ მთავარ ძალებს. მათი ამოცანა იყო კანდალაქშაზე შეტევა. ჩემს სარდლობაში მყოფ ჯარებს უნდა უზრუნველეყოთ სამხრეთის ფლანგი და წასულიყვნენ მთავარი ძალების ხაზზე... მანამდე, ვიდრე გაიცემოდა ბრძანება შეტევის შესახებ, ჯარები საზღვრიდან დაახლოებით 5 კილომეტრზე იდგნენ".

გენერალ-ლეიტენანტ სილასვუოს ამ ჩვენებამ დიდი ყურადღება მიიპყრო, რამდენადაც წინადღით და სასამართლოს 19 დეკემბრის სხდომის პირველ ნაწილში დაცვა ცდილობდა საბჭოთა ტერიტორიაზე გერმანიისა და ფინეთის ჯარების შეტევის აღრიანად მომზადების ფაქტის უარყოფას.

ჰელსინკი, 20 დეკემბერი. (საკდეს). დღეს ფინელ სამხედრო დამნაშავეთა საქმის გამრჩევი სასამართლოს სხდომაზე საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა იუსტიციის კანცლერმა ტარიანემ სასამართლოს სთხოვა გამოჰკითხოს ბრალდებულთ, თუ რა ღონისძიებანი იხმარეს ფინეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მიერ განზრახულ ომთან დაკავშირებით. ბრალდებულებმა თავიანთ განცხადებებში თავი აარიდეს პასუხს სასამართლოს თავმჯდომარის ოსკარ მელერის შესაბამის კითხვაზე.

ამ საკითხზე კამათის შემდეგ გამოვიდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი ტარიანე. მან განაცხადა, რომ სასამართლოს განზრახული აქვს შესწყვიტოს თავისი სხდომები საშობაო დღესასწაულებზე. მისთვის, როგორც ბრალმდებლისათვის, აგრეთვე საჭიროა სხდომების შეწყვეტა იმ დოკუმენტების გასაცნობად, რომლებიც ბრალდებულებმა სასამართლოს წარუდგინეს. ამის შემდეგ ტარიანემ განაცხადა:

„ამავე დროს მოვითხოვ, რომ ის ბრალდებულნი, რომლებიც დღემდე დაპატიმრებული იყვნენ, კვლავ საპატიმროში დარჩნენ. დაპატიმრებულ უნდა იქნან აგრეთვე ის ბრალდებულებიც, რომლებიც გაშვებულნი იყვნენ. ამ მოთხოვნას მხარს ვუჭერ დროებითი ზავის შეთანხმების მე-13 მუხლის ძალით. ამ მუხლის შესაბამისად ფინეთმა იკისრა არა მარტო მსჯავრი დასდოს იმათ, ვისაც ბრალი ედება სამხედრო დანაშაულში, არამედ კიდეც შეიპყროს ისინი. სასამართლოს ამის უფლება აქვს ხსენებული შეთანხმების დამოუკიდებლადაც".

ამავე დროს ტარიანემ სასამართლოს განუცხადა, რომ ბრალდებული ტანერი უნდა დაისაჯოს საბრალდებო დასკვნის ხუთი პუნქტის მიხედვით, ამასთან ტანერს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია აგრეთვე საბრალდებო დასკვნის მეორე პუნქტში აღნიშნული საქმიანობისათვის.

ავსტრიის ეროვნული საბჭოს პირველი სესია

ვენა, 20 დეკემბერი. (საკდეს). გუშინ გაიხსნა 25 ნოემბერს არჩეული ეროვნული საბჭოს (ავსტრიის პარლამენტი) პირველი სესია. პარლამენტის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ დეპუტატები: მარჯვნივ — სახალხო პარტიის წარმომადგენლები, ცენტრში — სოციალისტები და მარცხნივ — კომუნისტები. აივნებზე და ლოჟებში იყო მრავალი სტუმარი, მათ შორის მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლები: მარშალი კონევი, გენერალი მარკ კლარკი, გენერალი მაკრირი და გენერალი ბეტუარი თავიანთ პოლიტიკურ მრჩევლებითურთ, ვენის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ლებედენკო, ავსტრიელი და უცხოელი ჟურნალისტები.

სხდომა გახსნა უხუცესმა დეპუტატმა კარლ ზეიცმა.

სესიამ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია კუნშაკი (სახალხო პარტია), ვიცე-თავმჯდომარეებად — ბემი (სოციალისტი) და ჰარბახი (სახალხო პარტია). კუნშაკი თავის სიტყვაში მიესალმა ეროვნული საბჭოს დეპუტატებს. თავისი სიტყვის შემდეგ მან დროებითი მთავრობის ანგარიშისათვის სიტყვა მისცა სახელმწიფო კანცლერს დოქტორ რენერს.

პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მოწონებულ იქნას დროებითი მთავრობის საანგარიშო მოხსენება.

ავსტრიის პრეზიდენტად აირჩიეს კარლ რენერი

ვენა, 20 დეკემბერი. (საკდეს). დღეს პარლამენტის შენობაში შესდგა ეროვნული კრების სხდომა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად. არჩევნები სწარმოებდა ფარული კენჭისყრით ბიულეტენების მიცემის გზით. ყოველ დეპუტატს პირადად გამოიძახებდნენ, რის შემდეგ იგი მიდიოდა საარჩევნო ყუთთან და შიგ აგდებდა თავის ბიულეტენს. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია დოქტორი კარლ რენერი. ეროვნული კრების დამსწრე 205 დეპუტატიდან რენერს ხმა მისცა 204 დეპუტატმა. ერთი ბიულეტენი ცარიელია, სულ ეროვნულ კრებაში 215 წევრია (165—ეროვნულ საბჭოში და 50 — საკავშირო საბჭოში).

არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ რენერი მიწვეულ იქნა დარბაზში. მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და საზეიმო აღთქმა დასდო ერთგულად დაიცვას რესპუბლიკის კონსტიტუცია და ყველა კანონი.

ბონინის კუნძულების ოკუპაცია ამერიკელების მიერ

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდეს). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ციციქიმადან იუწყება, 17 დეკემბერს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა ბონინის კუნძულების ოკუპაცია მოახდინეს და მიიღეს იაპონიის ჯარების კაპიტულაცია მათი სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ტაჩიბანას მეთაურობით.

ტრუმენის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდეს). პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც დაჟინებით მოითხოვს საზღვაო და სამხედრო სამინისტროების ნაციონალური თავდაცვის ერთ სამინისტროდ გაერთიანებას. ტრუმენი კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ კონგრესმა მიიღოს საყოველთაო სამხედრო სწავლების პროგრამა.

ლუი საიანის მიმართვა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისადმი, ბევინისა და ბირნსისადმი

ბრაზავილი, 20 დეკემბერი. (საკდეს). როგორც ბრაზავილის რადიომ გადასცა, მსოფლიო პროფკავშირული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა ვ. მ. მოლოტოვს, ბევინსა და ბირნსს გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც იგი მოუწოდებს მოკავშირე სახელმწიფოებს გასწყვიტონ ურთიერთობა ფრანკისტულ ესპანეთთან. მიმართვაში ნათქვამია:

მსოფლიო პროფკავშირული ფედერაცია, იღებს რა მხედველობაში ოქტომბერში პარიზში შემდგარ მსოფლიო პროფკავშირულ კონფერენციაზე გამოტანილ რეზოლუციას, თავს ნებას აძლევს თავისი 70 მილიონი წევრის სახელით მათ ალიანსებულთა წინაშე სურვილი გამოსთქვას, რომ დემოკრატიულმა მთავრობებმა გასწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოს მთავრობასთან. ფრანკოს მონაწილეობა ღერძის სახელმწიფოთა პოლიტიკაში, ხოლო შემდეგ ომში ჰიტლერის მხარეზე, პროფკავშირულ და სამოქალაქო თავისუფლებათა სრული უქონლობა ესპანეთში — ყოველივე ეს ფრანკოს აყენებს ომის დამნაშავეთა და ხალხთა დემოკრატიული უფლებების დამრღვევთა რიგებში. მთელი მსოფლიოს მშრომელები დიდი სიხარულით მიესალმებიან მოსკოვში შეკრებილი სამი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომელიც აძლიერებს ფრანკოს მთავრობას ჩამოშორდეს ძალაუფლებას.

რასმუსენის განცხადება

კოპენჰაგენი, 19 დეკემბერი. (საკდეს). გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე" იუწყება: „საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რასმუსენმა განაცხადა: „თავის დროზე ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტმას მელერმა ბულის კაბინეტის სახელით უპასუხა კითხვაზე დასავლეთის ბლოკის იდეისადმი დანიის დამოკიდებულების შესახებ. მაშინ მან განაცხადა, რომ დანია დაინტერესებული არ არის რაიმე ბლოკის შექმნით. ახლანდელი მთავრობა ამავე აზრისაა".

მდგომარეობა პარაგვაიში

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდეს). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონიდან იქ ჩასულ პირთა ნაამბობს, რომ პარაგვაიში 100 კაცზე მეტი დააპატიმრეს და ჩაკოს რაიონში საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. დაპატიმრება დაიწყო 9 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც მთავრობამ თითქოს აღმოაჩინა პრეზიდენტ მორინიგოს სამხედრო დიქტატურის დამხობისაკენ მიმართული მოძრაობა. მეტი წილი დაპატიმრებულნი ყოფილ პრეზიდენტ რაფაელ ფრანკოს მომხრენი არიან, რომელიც ამჟამად გაძევებულია და ურუგვაიში იმყოფება.

როგორც გაზეთ „ჩიკაგო სანის" კორესპონდენტი პრუიტი პარაგვაის მდგომარეობის შესახებ დაბეჭდილი სტატიების სერიაში იუწყება, მოწინავე პროფკავშირული ორგანიზაციის „პარაგვაის მუშათა საბჭოს" ლიდერებმა და არალეგალური მოძრაობის სხვა წარმომადგენლებმა მასთან საუბარში დაადასტურეს, რომ მთავრობა ტერორისტულ მეთოდებს მიმართავს.

[illegible] როიალზე. ფოტო ნ. ჯომიდავასი.

ქალაქ თბილისის საწარმო-დაწესებულებების ყველა ხელმძღვანელს, სახლთმმართველს და კომენდანტს, სახლთმფლობელებს და მოქალაქეებს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით დაწესებული ერთიანი საპასპორტო სისტემის თანახმად საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს, 16 წლის ასაკიდან დაწყებული, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ პასპორტიზირებულ ადგილებში, ევალებათ დაიცვან შემდეგი წესი:

1. ის პირნი, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი, ვალდებული არიან მიიღონ პასპორტები მილიციის განყოფილებებში თავიანთი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

2. ახლად ჩამოსული მოქალაქენი ჩამოსვლის ადგილების მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა იქნან ჩაწერილი საბინაო წიგნებში მილიციის შესაფერი განყოფილებების მეშვეობით, ხოლო მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადასული პირნი—ამოწერილი, პასპორტში ამოწერის შტამპის აუცილებელი დასმით.

შენიშვნა: ის პირნი, რომელნიც გადავიდნენ სსრ კავშირის სხვა ადგილებში, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაწერილი არ იქნებიან, თუ მათ პასპორტებში არ ექნებათ დასმული ამოწერის შტამპი.

3. პასპორტის ვადის გასვლისთანავე მოქალაქე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს მილიციის ორგანოებს პასპორტის გამოცვლისა ან ვადის გაგრძელებისათვის.

4. პასპორტის დაკარგვის ყოველ ცალკე შემთხვევაში მოქალაქე ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს მილიციის ორგანოებში მისი აღდგენისათვის.

5. არ უნდა დაუშვათ სამუშაოზე უპასპორტოები, ჩაუწერავები და ვადაგადაცილებული პასპორტების მქონე მოქალაქენი.

6. მუშა-მოსამსახურეთა პასპორტებში უნდა იყოს აღნიშნა მათი მუშაობის ადგილის შესახებ, ხოლო წასვლის შემთხვევაში — აღნიშვნები სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

7. დადგენილების დამრღვევი პირნი საპასპორტო კანონის თანახმად მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში არსებული წესით.

უკანასკნელ ხანებში ქალაქ თბილისში შემჩნეულია ამ წესის დარღვევის შემთხვევები. საპასპორტო კანონს არღვევენ ზოგიერთი საწარმო - დაწესებულების ხელმძღვანელები, სახლთმმართველები, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, სახლების მფლობელები, რომელნიც პირველ რიგში თვითონ არიან ვალდებულნი დაიცვან საპასპორტო კანონი, და ცალკეული მოქალაქეები. ზოგჯერ სამუშაოზე იღებენ უპასპორტოებს და საბინაო წიგნებში ჩაუწერავ მოქალაქეებს, სამუშაოზე ყოფნისა და დათხოვნის შესახებ პასპორტებში არ უსვამენ შტამპს, უშვებენ უპასპორტოების, ჩაუწერავებისა და ვადაგასული პასპორტების მქონე მოქალაქეების ცხოვრებას სახლებში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მედმომარაგების საწყობში, სადაც მმართველად იყო ნამიჩეიშვილი, ამა წლის ივლისში დარაჯის თანამდებობაზე სამუშაოდ მიიღეს უპასპორტო მოქალაქე ლეონიდ ვარლამის-ძე პლიევი, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ გაძარცვა საწყობი და მიიმალა.

საქართველოს სსრ შრომის რეზერვების სისტემის № 5 სახელოსნო სასწავლებელში (დირექტორი ამხ. ნაცვლიშვილი) 193 მოწაფიდან, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი, 80 იყო უპასპორტო და 64 მოწაფეს არ ჰქონდა დაბადების მოწმობები.

სამუშაოზე უპასპორტოებისა და ჩაუწერავი პირების მიღებისათვის, მათი საცხოვრებლად დაშვებისათვის ადმინისტრატიულ პასუხისგებაში მიცემული არიან № 1 ავეჯის ქარხნის დირექტორი გაბაშვილი, სათამაშოების ფაბრიკის დირექტორი მირზაშვილი, № 5 სახელოსნო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე გოგიჩაიშვილი, შუშის ქარხნის საერთო საცხოვრებლის კომენდანტი დუდაშვილი, სახლთმმართველი გელაშვილი, სახლთმფლობელი ქვათაძე (მცხოვრები მარის ქ. № 64).

საპასპორტო კანონის უხეშად დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული სტალინის რაისაბჭოს საბინაო სამმართველოს სახლთმმართველები ვალენტინა ალექსის-ასული კლიმაშევსკაია და ალექსანდრე ემელიანეს-ძე რუხაძე.

საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან სისტემატურად შეამოწმონ საპასპორტო სისტემის დაცვა, არ დაუშვან დარღვევები, დროზე მიიღონ ზომები დამრღვევთა წინააღმდეგ.

გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა საპასპორტო კანონის ზუსტად დაცვისათვის მიღება-დათხოვნის განყოფილებების, სახლთმმართველებისა და კომენდანტების საშუალებით.

კ. ნაჭყებია

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მილიციის დარგში, მილიციის მე-3 რანგის კომისარი.

ახალი სახელმძღვანელოები

ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო

საქართველოს სს რესპუბლიკის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობამ ამ დღეებში დაბეჭდა პროფესორ რევაზ ნათაძის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო.

წიგნი 13 თავისაგან შესდგება. პირველი თავი მიძღვნილია საკითხისადმი — ფსიქოლოგიის საგანი და მეთოდები. შემდეგ თავებში თანმიმდევრობით განხილულია საკითხები: ნერვული სისტემა, ფსიქიკის ანალიზი, შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა, გრძნობები ანუ ემოციური განცდები, ნებელობა, სიზმარი და ჰიპნოზი.

წიგნი შესდგება 224 გვერდისაგან და ღირს 40 მანეთი. რედაქტორია აკადემიკოსი დ. უზნაძე.

„ტირიფის ქვეშ"

ლ. პ. ბერიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. ბერძენიშვილის პიესა „ტირიფის ქვეშ". პიესაში როლებს ასრულებენ მსახიობები: გ. მილორავა, რ. მამაჯანოვა, ქ. კოლხიდელი, რ. ლორთქიფანიძე, მ. გვალია, ა. მაგრაქველიძე.

სახელმძღვანელო ახალგაზრდა მოქანდაკეთათვის

სახელგამმა გამოსცა პროფესორ სალ. კაკაბაძის „სახელმძღვანელო ახალგაზრდა მოქანდაკეთათვის". წიგნი იხსნება რედაქტორის სახალხო მოქანდაკის პროფესორ ი. ნიკოლაძისა და ავტორის შესავალი წერილებით. სახელმძღვანელოში დამუშავებულია ორი საკითხი: „საძერწი, საყალიბე მასალა" და „იარაღები და საყალიბე მასალა".

სახელმძღვანელო შესდგება 23 გვერდისაგან და ღირს 10 მანეთი.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

20 დეკემბერს მოხდა გადადებული პარტიის გათამაშება. ფხალაძემ მოუგო გიორგაძეს და ყაიმით დასრულდა პეტროსიანთან და სერედასთან. აგამალიანმა მოუგო გასიევს და გიორგაძეს. ტუკ-ტრიპოლიტოვი დამარცხდა სერედასთან. მალაშხიამ მოუგო გასიევს. პირველი ტურიდან გადადებული ცინცაძე—სოროკინის პარტია დაძაბული თამაშის შემდეგ კვლავ გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.

დღეს, 22 დეკემბერს, ჩატარდება მეხუთე ტური.

ნორჩ ჭადრაკისტ-ოსტატთა შეჯიბრება

22 და 23 დეკემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის საპორტო დარბაზში ტარდება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სისტემის სკოლების მოსწავლე ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება საქალაქო ინდივიდუალურ და გუნდურ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 400-მდე მოსწავლე. მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ეგნატაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში. (ლენინის ქ. № 41).

თბილისის „დინამოს" მეორე გამარჯვება

20 დეკემბერს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, [illegible] საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის და რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ამჯერად თბილისის „დინამოს" მოწინააღმდეგედ ჰყავდა სპორტკლუბ „იუვენტიუსის" გუნდი, რომლის შემადგენლობაც გაძლიერებული იყო რუმინეთის სხვა სპორტკლუბების ძლიერი მოთამაშეებით. თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისის „დინამოელები" ანვითარებენ თავბრუდამხვევ შეტევას. უპირატესობა მათ მხარეზეა, რის შედეგადაც პირველ ათ წუთში გააქვთ ზედიზედ ორი ბურთი. ამის შემდეგ ინიციატივა რუმინელების ხელში გადადის. რვა წუთის განმავლობაში ბურთი არ შორდება საქართველოს გუნდის კარებს. ჩქარა რუმინელები აქვითებენ ანგარიშს. მეთვრამეტე წუთზე დაშავდა შუდრა. მას სცვლის მეკარე სანაია. რუმინელები განაგრძობენ შეტევას და ანგარიშს თავიანთ სასარგებლოდ ადიდებენ. ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება. ბოლო წუთებში საბჭოთა ფეხბურთელებს გააქვთ მესამე ბურთი. ანგარიშით 3:3 თავდება პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა აშკარა გახდა. მეექვსე წუთზე პანიუკოვს გააქვს მეოთხე ბურთი, ხოლო შემდეგ ჯეჯელავას და პაიჭაძეს მეხუთე და მეექვსე ბურთები. ანგარიშია 6:3. რუმინელები მოედნის შუაგულიდან ურტყამენ საჯარიმო ბურთს, რომელიც ეშვება თბილისელთა კართან. აქ მყოფი რუმინელი თავდამსხმელი ახერხებს ბურთის გატანას. საპასუხოდ ჯეჯელავას და პაიჭაძეს გააქვთ მოწინააღმდეგის კარში მეშვიდე და მერვე ბურთები. შემდეგ მეხუთე ბურთი დინამოელთა კარში გააქვთ რუმინელებს. ამას თბილისელებმა კვლავ ორი ბურთით უპასუხეს.

ანგარიშით 10:5 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ დასრულდა მეორე მატჩი რუმინელებთან.

ქრონიკა

24 დეკემბერს 7 საათსა და 30 წუთზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში მოეწყობა საქართველოს კ. პ. (ბ) ისტორიის სექციის კრება, მიძღვნილი 1905 წლის რევოლუციის 40 წლისთავისადმი.

კრებაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები:

1. საქართველოს ბოლშევიკები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში—აკადემიკოსი გ. ხაჭაპურიძე (რუსულ ენაზე).

2. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში — დოცენტი ა. მელქაძე (ქართულ ენაზე).

დასწრება თავისუფალია.

საქართველოს ექიმთა საზოგადოების სხდომა

კვირას, 23 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ., № 16) შესდგება საქართველოს ექიმთა საზოგადოების და სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული საჯარო სხდომა ლუი პასტერის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად. სხდომაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები:

1. პროფესორი ვ. ანთაძე—„ლუი პასტერის მემკვიდრეობა მიკრობიოლოგიაში".

2. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. ვარაზი—„ლუი პასტერი, როგორც ქიმიკოსი".

3. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. ერისთავი—„ლუი პასტერის დამსახურება ქირურგიაში".

4. პროფესორი მ. კანდელაკი—„ლუი პასტერის დამსახურება ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში".

დასწრება თავისუფალია, სხდომის დასაწყისი 12 საათზე.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, პედაგოგებისათვის შესდგება დოცენტ ფურცხვანიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა კონსტიტუციის გენიალური შემოქმედი—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეები საქართველოში

(დასასრული)

1905 წლის ნოემბერში შეიკრიბა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მეოთხე კონფერენცია, რომელმაც განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი, გამოჰყო „კავკასიის ბიურო" აჯანყების პრაქტიკულად მომზადებისათვის. ამხანაგ სტალინის მითითებით უფრო ფართოდ გაიშალა მუშაობა სამხედრო ინსტრუქტორების მოსამზადებლად. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ წითელრაზმელები. დიდი როლი შეასრულეს აჯანყებაში რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მოწინავე მუშებმა, რომლებმაც წითელი რაზმი შეავსეს საუკეთესო ადამიანებით.

კავკასიაში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა 1905 წლის დეკემბრის დასაწყისში მთელი ძალით გაიშალა. რკინიგზა, საწარმო-დაწესებულებები გაფიცულთა ხელში იყო. ჯარისკაცები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტამბის მუშები, მშრომელი ინტელიგენცია გაფიცულებს შეუერთდნენ. მოვიდა თუ არა ცნობა მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ, კავკასიის მშრომელნი შეიარაღებული ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდნენ. თუმცა მეფის მთავრობამ 14 დეკემბრიდან საალყო წესები გამოაცხადა კავკასიის სამრეწველო ქალაქებში, ხოლო თბილისი სამხედრო ბანაკს ჰგავდა, მაგრამ შეიარაღებული პროლეტარიატი მტკიცედ უმკლავდებოდა მეფის მთავრობის შემოტევას. თბილისის ქუჩებში ბარიკადები აღიმართა. მუშათა უბანში—ნაძალადევში ბოლშევიკ წითელრაზმელების საუკეთესო ნაწილი გმირულად უტევდა მტერს. მშრომელების ყურადღება ნაძალადევისაკენ იყო მიპყრობილი, იქ მიეშურებოდნენ წითელრაზმელთა რეზერვები. შეიარაღებული მუშების პატრულები ღამ-ღამობით იცავდნენ ნაძალადევის მიდამოს. ბოლშევიკ მუშებს იქვე ჰქონდათ მოწყობილი იარაღის საწყობები. რამდენიმე დღის განმავლობაში მეფის მთავრობის შეიარაღებული ძალები ვერ ბედავდნენ ნაძალადევთან მისვლას, ხოლო როცა მთავრობამ მაშველი ჯარები გამოიწვია, ნაძალადევის უბანს ალყა შემოარტყა, 18 დეკემბერს ბრძოლა დაიწყო. მიუხედავად მტრის ძალების სიჭარბისა, მუშები გააფთრებით ებრძოდნენ მეფის ჯარს. ამ ბრძოლაში დაიღუპა 9 მოწინავე მუშა — მ. კალაძე, ვ. ხუციშვილი, ვ. თვარაშვილი და სხვები. (ისინი დასაფლავებული არიან ნაძალადევის სერზე, ძმათა სასაფლაოზე).

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით აფასებდა თბილისის პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას 1905 წლის დეკემბერში. იგი მას ადარებს მოსკოვის „კრასნაია პრესნიას" სახელოვან გამოსვლებს და ამბობს: „დეკემბრის დღეებში მებრძოლ შევარდნებს გულმკერდი დაუფლითეს თბილისში ნახალოვკის ზემოთ, მოსკოვში—პრესნაზე, ლატიშებში სვეაბორგში და სხვაგან". (გაზეთი „დრო" № 28, 1907 წ.).

წითელი რაზმები დეკემბრის სახელოვან დღეებში მოქმედებდნენ არა მარტო თბილისში. ისინი მონაწილეობდნენ ქუთაისსა, ბათუმსა და სხვა ადგილებში გამართულ საბარიკადო ბრძოლებში. მეფის ჯართან შეტაკებისას წიფის გვირაბთან სასახელო ბრძოლები ჩაატარეს წითელრაზმელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი გამოდიოდა იარაღით ხელში ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ბოლშევიკმა წითელრაზმელებმა განაიარაღეს დასავლეთ საქართველოში მეფის ჯარის პოლკები.

ამხანაგ სტალინის მითითებით შეიქმნა წითელი რაზმი ქართლში. ამ რაზმმა განაიარაღა მთავრობისა და მემამულეების „შავი რაზმები" ქართლის სოფლებში (სოფელ ნოსტესა და სხვა ადგილებში).

მასების შეიარაღებული აჯანყების შედეგად სავსებით პარალიზებული იყო მეფის მთავრობა დასავლეთ საქართველოში. ქუთაისის გუბერნია, შავი ზღვის სანაპიროები ფაქტიურად აჯანყებულთა ხელში იყო.

* * *

ამაოდ არ ჩაუვლია ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას დეკემბრის დღეებში. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა, გაითვალისწინა რა 1905 წლის რევოლუციის გაკვეთილები, მშრომელ გლეხთა მილიონების მხარდაჭერით 1917 წელს დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა და ააშენა სოციალისტური საზოგადოება. წარსული ბრძოლების შესანიშნავ ტრადიციებზე გამოწრთობილი დევგმირი საბჭოთა ხალხი ამრავლებდა სახელოვან ბრძოლის ჩვევებს საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გერმანელ დამპყრობთა და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ომი ჩვენი სამშობლოს უდიდესი გამარჯვებით დამთავრდა.

საბჭოთა ხალხის დიდი ბრძოლების მონაპოვარი აღბეჭდილია ჩვენი ეპოქის უდიდეს დოკუმენტში — სტალინურ კონსტიტუციაში. გამარჯვებული, ბედნიერი, თავისუფალი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამ სასიხარულო დღეებში მშრომელები სიყვარულით იგონებენ 1905 წლის ისტორიული ბრძოლების მონაწილეთ, რომლებმაც მოამზადეს ჩვენი გამარჯვება. საბჭოთა ხალხი ადიდებს გენიალურ მხედართმთავარს დიდ სტალინს, რომლის სახელთანაც უმჭიდროესად დაკავშირებულია 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების შესანიშნავი ფურცლები, დაკავშირებულია ყველა ჩვენი შემდგომი გამარჯვება.

ლენა სტურუა

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—22/XII—„გედის ტბა", 23/XII—დღისით—„რიგოლეტო", საღამოს — „დაისი". **რუსთაველის სახელობის**—22/XII—„დიდი ხელმწიფე", 23/XII—დღისით—„ბეგრსბერის გოგო", საღამოს—„დიდი ხელმწიფე". **მარჯანიშვილის სახელობის**—22/XII—„ჰორველი ცოლის მორჯულება", 23/XII—დღისით—„ქამთაბერის ასული", საღამოს—„უმზითვო". **გრიბოედოვის სახელობის**—22/XII—„ასეც იქნება", 23/XII — დღისით და საღამოს—„ასეც იქნება".

კინოებში

22 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის—„უდანაშაულო დამნაშავენი". **ოქტომბერი**—„მეკარე". **დამკვრელი** — „არშინ-მალ-ალან". **კომკავშირელი**—„გაზაფხულის ვალსი". **სპარტაკი**—„არშინ-მალ-ალან". **ლუქსემბურგის სახელობის**—„გაზაფხულის ვალსი". **26 კომისრის სახელობის**—„უდანაშაულო დამნაშავენი".

საქართველოს სახკომსაბჭოს 1940 წლის 29 მარტის დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე კონცერტების გამართვის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას. ამის მიხედვით ფილარმონიის დირექცია აცხადებს, რომ მის მიერ საკონცერტო ჯგუფების, ანსამბლების ან მათი ადმინისტრატორისათვის მიცემული ყველა სახის მოწმობები და ნებართვები 1946 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია. მათ ნაცვლად შემოღებულია სტანდარტული მანდატები—რწმუნებები, რომლის ნიმუშები დაეგზავნება რაიონებში სათანადო ორგანიზაციებს.

საქართველოს ფილარმონიის დირექცია სთხოვს ყველა ორგანიზაციას 1946 წლის 1 იანვრიდან არ დაუშვან არავითარი გასტროლები ზემოაღნიშნული სტანდარტული მანდატ-რწმუნების გარეშე.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექცია.

მოქალაქე **კონსტანტინე ლუკას-ძე ბურბენიძემ**, მცხოვრებმა კორნეევის შესახვევი № 11, აღძრა საქმე ორჯონიკიძის ქ. № 18 მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ივანეს-ასულ აკოპიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **დიმიტრი ნოეს-ძე ბოლქვაძემ**, მცხოვრებმა ვახუშტის ქ. № 63, აღძრა საქმე ქუთაისის ქ. № 10 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ნესტორის-ასულ ბოლქვაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნო—3 06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3. 81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 10746